

## ოქმი # 8

### თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 19 ივლისის სხდომისა

#### სხდომას ესწრებოდნენ:

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქადეიშვილი, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბურჯუკური, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

#### დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2024-2028 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხილვა.


**მ ო ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ ინსტიტუტი 2023 წლის 31 დეკემბერს ასრულებს თავის 5-წლიან (2018-2023 წწ.) სამოქმედო გეგმას, და საჭიროა შემდგომი წლებისთვის ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**მ ო ს მ ი ს ნ ე ს :** ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც წარმოადგინა განყოფილებებთან ერთად შემუშავებული ინსტიტუტის 2024-2028 წლების სამოქმედო გეგმა.

საბჭომ განიხილა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :** თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2024-2028 წლების სამოქმედო გეგმა მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი სახით (გეგმა ოქმს თან ერთვის) და გადაეცეს თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად და შემდგომი რეაგირებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე

 თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი

